



საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია



GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 2472
02/10/2020

ზუგდიდი

2472-02-4-202010021841



მერის ბრძანება

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების
სტრატეგიისა და 2020 – 2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის“ 2020 წლის 01 ოქტომბრის N4 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია“, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2020 – 2023 წლების სამოქმედო გეგმა“ (სტრატეგიული დოკუმენტები) და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია“.
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა სამსახურებრივი სფეროების შესაბამისად უზრუნველყონ სამოქმედო გეგმის შესრულება და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი განხორციელდეს ყოველწლიურად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის შესაბამისად. მონიტორინგის ანგარიშის მერისთვის წარდგენას ყოველი მომდევნო წლის 31 იანვრამდე უზრუნველყოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.
4. სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგის პროცესში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.
5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციის მიზნით პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებელი - გიორგი ჭვანია.

6. სტრატეგიული დოკუმენტები განახლდეს ორ წელიწადში ერთხელ.
7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

მერი

